

საქართველოს მთავრობის კომენტარები ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის ფარგლებში მრჩეველთა კომიტეტის საქართველოს შესახებ მესამე დასკვნასთან დაკავშირებით  
მიღებულია 2019 წლის 7 მარტს

**აღმასრულებელი რეზიუმე - მეხუთე აბზაცი, პუნქტი 13**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განმარტავს, რომ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად დოკუმენტს, ძალიან კარგად მეტყველებს იმაზე, რომ უმცირესობების საკითხები არის განხილული არა უსაფრთხოების პრიზმაში, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. სახელმწიფო სტრატეგია ეფუძნება თანასწორობის პრინციპსა და "მეტი მრავალფეროვნება, მეტი ინტეგრაცია" მიდგომას და მიზნად ისახავს თანასწორობის უზრუნველყოფას, ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებას, ტოლერანტული გარემოს განმტკიცებას.

**აღმასრულებელი რეზიუმე - დაუყოვნებლივი რეაგირების საკითხები, მეორე აბზაცი**

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო განმარტავს, რომ საქართველოში რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთაც მიერთებულია საქართველო და შიდა კანონმდებლობით. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით რელიგიურ ორგანიზაციებს აქვთ სრული თავისუფლება განსაზღვრონ თავიანთი სამართლებრივი სტატუსი. რელიგიური გაერთიანებები საკუთარ უფლება-მოვალეობებს იძენენ მათი სამართლებრივი სტატუსის შესაბამისად, რომლის საკუთარი სურვილით არჩევის თავისუფლება აქვთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად (მუხლი 1509 და 1509<sup>1</sup>). კერძოდ, რელიგიური გაერთიანებები რეგისტრირდებიან როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირებად (სსიპ) და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ა(ა)იპ, ასევე შეუძლიათ განახორციელონ საქმიანობა, როგორც არარეგისტრირებულმა კავშირებმა. დღეის მდგომარეობით საჯარო რეესტრში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირებულია ათეულობით რელიგიური ორგანიზაცია, ასობით, კერძო სამართლის იურიდიულ პირებად.

საგადასახადო შეღავათები გათვალისწინებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსით. აღნიშნული კოდექსის ნორმები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებდა, გახდა საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა დასრულდა 2018 წლის 3 ივლისს და 2019 წლის 1 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლება შეეხო ყველა რელიგიის ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციას და მოხატვას. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო კოდექსის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს რელიგიური გაერთიანებებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადახედილია და სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციასა და თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს.

სამშენებლო საკითხები, მათ შორის საკულტო ნაგებობების, რეგულირდება საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით. მშენებლობის ნებართვას გასცემენ ადგილობრივი თვითმმართველობები. საგენტოს ჩართულობითა და რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ბოლო წლებში საქართველოში აშენდა 15 მეჩეთი, კათოლიკური ეკლესია რუსთავში, ასევე პროტესტანტული ეკლესიები გორსა და რუსთავში. გამჭირვალე და არადისკრიმინაციულ გარემოზე მიუთითებს იეჰოვას მოწმეთა 89 მოქმედი საკულტო ნაგებობის აშენება/არსებობა საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აქვს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ვალდებულება, ვინაიდან დამოუკიდებელი საქართველო არ არის საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე, საქართველოს სახელმწიფო რელიგიურ გაერთიანებებს უბრუნებს იმ საკულტო ნაგებობებს, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფოს ფაქტობრივ საკუთრებაში აღმოჩნდა. სააგენტოს ბაზაზე არსებობს „რელიგიურ გაერთიანებათა ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი კომისია“. კომისიის გადაწყვეტილებით, 2014 წლიდან დღემდე მუსლიმ თემს დაუბრუნდა 200-ზე მეტი მეჩეთი საქართველოს მასშტაბით, როგორც სუნიტური, ასევე შიიტური; იუდეურ თემს - 20 სინაგოგა; ასევე ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიას - 2, ევანგელურ-ლუთერულ ეკლესიას, და საქართველოში არსებულ სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს დაუბრუნდათ საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობები, საქართველოს იეზიდურ თემს გადაეცა მიწის ნაკვეთი, სადაც აშენდა სალოცავი.

საკულტო ნაგებობების დაბრუნების პროცესი კვლავ გრძელდება. ამასთან ერთად, 2015 წელს სახელმწიფომ შეისყიდა ორი 4 სართულიანი შენობა ქ. ბათუმში და გადასცა სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს: ერთი შენობა - სამუფტო რეზიდენციისთვის, მეორე - რელიგიური სასწავლებლისთვის (მედრესესთვის), საერთო ღირებულებით 5 მლნ ლარი.

## **პუნქტი 9**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ ინფორმაცია კონკრეტული ღონისძიებების / ქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელებულია მეორე დასკვნაში ჩამოთვლილი რეკომენდაციების

საკასუხოდ, ასახულია მესამე სახელმწიფო ანგარიშში (რომელიც წარმოდგენილი იყო 2017 წლის 12 ივლისს) შესაბამისი მიმართულებების/საკითხების ფარგლებში.

### **პუნქტი 11**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** მოუწოდებს მრჩეველთა კომიტეტს გამოიყენოს ტერმინი "საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის / სამხრეთ ოსეთის რეგიონი" ნაცვლად "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა". სახელმწიფო მინისტრის აპარატი ასევე აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სიტუაცია ადგილზე, საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის / სამხრეთ ოსეთის რეგიონებში არის მძიმე იმ მიმდინარე ოკუპაციისა და დე ფაქტო ანექსიის გამო, რომელსაც ახორციელებს რუსეთის ფედერაცია. არსებული ვითარება განსაკუთრებით მძიმედ აისახება გალისა და ახალგორის რაიონების ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებზე, რომლებიც განიცდიან ყოველმხრივ ზეწოლასა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას. მათ თანდათან და სრულად ჩამოერთვათ ქართულ ენაზე განათლების მიღების უფლება და ექვემდებარებიან რუსიფიკაციის პოლიტიკას; სხვა ფუნდამენტური უფლებები, როგორცაა საკუთრების, დასაქმების, გადაადგილების თავისუფლება მათ ასევე მკაცრად ეზღუდებათ. გარდა ამისა, წვდომა საერთაშორისო უსაფრთხოების და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებზე მუდმივად იზლოკება რუსეთის ფედერაციის მიერ.

როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს CMD გადაწყვეტილებებში "ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში" 12 მაისი 2015 (1227-ე შეხვედრა), 4 მაისი 2016 (1255-ე შეხვედრა), 3 მაისი 2017 (1285-ე შეხვედრა), 2 მაისი 2018 ( 1315-ე შეხვედრა), 2 მაისი 2019 (1345-ე შეხვედრა) რუსეთის ფედერაციამ ევროპის საბჭოს ორგანოებისთვის უნდა უზრუნველყოს დაუყოვნებლივი და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს მთავრობის კონტროლის მიღმა არსებულ ტერიტორიებზე.

### **პუნქტი 12**

**სახელმწიფო ენის დეპარტამენტი** აღნიშნავს, რომ საქართველოს ენის პოლიტიკა გულისხმობს შემდეგ ზომებს: - სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ქართული ენის ცოდნა არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის. ამ მხრივ, სახელმწიფო ენის ცოდნის შემდგომი გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებში წარმომადგენს პრიორიტეტულ ამოცანას, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო ინტეგრაციას; - ეთნიკური უმცირესობების ენების დაცვა და ხელშეწყობა, რაც მიმდინარეობს.

### **პუნქტი 14**

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** აღნიშნავს რომ შემდეგი აღწერა დაგეგმილია 2022 ან 2023 წლისთვის, თუმცა, დეტალური სამომავლო გეგმები ჯერ კიდევ განიხილება.

**საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი** აღნიშნავს რომ ის მონაწილეობას მიიღებს კითხვარების მომზადებაში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან ერთად, რათა შეიქმნას საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ზუსტი სურათი, განისაზღვროს საქართველოში გავრცელებული ენები და მათი ცოდნის დონე, როგორც ეს აღნიშნულია რეკომენდაციებში 26, 27, 28 და 41.

**პუნქტი 17**

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის N117 დადგენილების ფარგლებში საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების არ არსებობისა, საქართველოს სახელმწიფო კეთილი ნებით, სიმბოლურად და ნაწილობრივ უნაზრაურებს 4 რელიგიურ გაერთიანებას მიყენებულ ზიანს - ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ, და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს. რომელიც ხმარდება რელიგიური თემის განვითარებასა და ქვეყანაში მშვიდობიან თანაარსებობას.

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
მუსლიმი თემი	1 100 000	2 200 000	2 750 000	2 750 000	2 750 000	2 750 000	14 300 000
რომაულ- კათოლიკური თემი	200 000	400 000	550 000	550 000	550 000	550 000	2 800 000
სომხური სამოციქულო თემი	300 000	600 000	800 000	800 000	800 000	800 000	4 100 000
იუდეური თემი	150 000	300 000	400 000	400 000	400 000	400 000	2 050 000
სულ	1 750 000	3 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000	4 500 000	23 250 000

\*თანხები მოცემულია ლარში

ამას გარდა, რელიგიური გაერთიანებები სისტემატურად ღებულობენ ფინანსურ და ქონებრივ დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, მათ თემში არსებული რელიგიური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. მაგალითად ფინანსური დახმარება გაეწია იეზიდურ თემს, პროტესტანტულ და ლუთერანულ ეკლესიას.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო სახელმწიფო სტრუქტურებთან და რელიგიურ ორგანიზაციებთან ერთად მუდმივად მუშაობს ქვეყანაში რელიგიური სიტუაციის გაუმჯობესების მხრივ, რაც დასტურდება ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კომისიის, საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების საკითხებზე (USCIRF) მიერ მომზადებულ ყოველწლიური ანგარიშით, სადაც საქართველო რელიგიის თავისუფლების მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების რიცხვში შედის.

### **პუნქტი 18**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ უმცირესობათა ენების გამოყენება ეთნიკური უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ მუნიციპალიტეტებში რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით "სახელმწიფო ენის შესახებ". კერძოდ:

– *კანონის თავი II, მუხლი 9, პუნქტი 3* განსაზღვრავს რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარჯიმნის დახმარებით ურთიერთობას“.

– *კანონის თავი III, მუხლი 11, პუნქტი 4* განსაზღვრავს რომ „იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილი არიან, დაადგინონ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული წესი, რომელიც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული უმცირესობისათვის მიკუთვნებული პირის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე წარდგენილი განცხადების, საჩივრის, მასზე გაცემული პასუხის თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს.“

– *კანონის თავი III, მუხლი 12, პუნქტი 2* განსაზღვრავს რომ „იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ამ ეროვნული უმცირესობის ენაზე თარგმნას. ამასთანავე, ოფიციალური ძალა მხოლოდ შესაბამისი ტექსტის დედანს აქვს.“

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>; არაოფიციალური თარგმანი

### **პუნქტი 26**

**საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური** გაცნობებთ, რომ ნებისმიერი სამომავლო გეგმები მოსახლეობის მომდევნო აღწერის შესახებ, მათ შორის, აღწერის მეთოდოლოგია და მეთოდი განხილვის პროცესშია. გარდა ამისა, ოფისი აღნიშნავს, რომ რესპოდენტებს ექნებათ შესაძლებლობა უარი განაცხადონ ეთნიკურ და რელიგიურ კითხვებზე პასუხის გაცემაზე. კითხვარი ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://census.ge/files/pdf/Form%20%232e.pdf>

### პუნქტი 33

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა 2019 წლის 29 მარტს ჩაატარა კომიტეტის შეხვედრა, სადაც მოისმინეს „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებისა და საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ კოდექსში დამატებების შეტანის კანონპროექტების შესახებ. საკანონმდებლო ცვლილებების წარმოდგენილი პაკეტი უზრუნველყოფს სექსუალური ძალადობის რეგულირებას, როგორც სამუშაო ადგილებზე და ასევე საჯარო სივრცეში დისკრიმინაციის გამოხატვის ერთ ერთ სახეს. ის პასუხისმგებლობას აკისრებს სექსუალურ ძალადობაში ჩართულ პირებს და აფართოებს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას დისკრიმინაციის აღმოფხვრის და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის თვალსაზრისით.

წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები შესაძლებლობას აძლევს საქართველოს სახალხო დამცველს, დისკრიმინაციული ფაქტის აღმოჩენისთანავე, მისი მანდატის ფარგლებში, რეაგირება მოახდინოს ფიზიკური და იურიდიული პირების და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების მიმართ, რადგანაც ზემოთ აღნიშნული ცვლილებების პაკეტი ითვალისწინებს სახალხო დამცველის უფლებამოსილებას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საჩივრით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს რეკომენდაციის აღსრულება, თუ იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სხვა პირი არ იზიარებს ან არ პასუხობს მის რეკომენდაციას (14<sup>1</sup>-ე მუხლი, მე -2 პუნქტი, ქვეპუნქტი -h<sup>1</sup>).

წინამდებარე ცვლილებების თანახმად, ფიზიკური, იურიდიული პირები და კერძო სამართლის სხვა სუბიექტები დაუყოვნებლივ ვალდებული არიან, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მსგავსად, სახალხო დამცველს მიაწოდონ ყველა დოკუმენტი და შესამოწმებლად საჭირო სხვა მასალა, არაუგვიანეს 10 დღის ვადაში; დისკრიმინაციის შემთხვევებში საქართველოს სახალხო დამცველს წერილობით წარუდგინონ ახსნა განმარტება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ექვემდებარება შესწავლა / შემოწმებას (კანონის მე -18 მუხლი, ქვეპარაგრაფები: ბ) და გ); გარდა ამისა, 20 დღის ვადაში, საქართველოს სახალხო დამცველს უნდა ეცნობოს რეკომენდაციების ან შეთავაზებების განხილვის შედეგები (კანონის 24-ე მუხლი მე -2 პუნქტი). ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს სახალხო დამცველის რეალურ ძალაუფლებას ამ კატეგორიის პირებისთვის რეკომენდაციის უზრუნველყოფაში, რათა განახორციელოს მისი იმპლემენტაციის მონიტორინგი, რაც მისი მუშაობას ბევრად უფრო ეფექტურს გახდის.

რაც შეეხება ცვლილებებს „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, მათი მიზანია კოდექსის ორგანულ კანონში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ცვლილებების კანონპროექტთან შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნული განცხადებაზე დაყრდნობით, ცვლილება წარმოდგენილი იყო კოდექსის 363<sup>2</sup> მუხლში, სადაც ემატება ნაწილი 1<sup>1</sup>, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო დამცველს ლეგიტიმაციით განიხილოს იურიდიული პირების და კერძო სამართლის სხვა ერთეულების

მიერ რეკომენდაციების შეუსრულებლობის ან შესრულების საკითხები სასამართლოებში და მოითხოვოს რეკომენდაციების აღსრულება სასამართლოს მეშვეობით.

ასევე გათვალისწინებულია სავარაუდო მსხვერპლთათვის სასამართლოებში განაცხადის შეტანის ვადების გაზრდა ერთ წლამდე (კოდექსის 2 363<sup>3</sup>-ე მუხლი, პუნქტი 2).

საკანონმდებლო ინიციატივა აღმოფხვრის საკანონმდებლო ხარვეზს, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვანი ორგანოს ფუნქციების გადაფარვას, რადგან ეს ზრდის გასაჩივრების ვადის შეზღუდვას, აძლევს მსხვერპლს შესაძლებლობას მიმართოს სახალხო დამცველს და სასამართლოს, მისი გადაწყვეტილების შემდეგ.

#### **პუნქტები 40, 51, 53, 55, 60**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში დეტალურად გაწერილია წლიური სამოქმედო გეგმები, რომლებიც განსაზღვრავს კონკრეტულ პროგრამებისა და ღონისძიებებს, შემუშავებულია შესაბამისი უწყებების მონაწილეობით. წლიური სამოქმედო გეგმების განხორციელების ანგარიშები მოამზადებული და წარმოდგენილია.

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია განსაზღვრავს მისი განხორციელების ანგარიშების, შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმებს. გათვალისწინებულია ორი ყოვლისმომცველი შეფასების დოკუმენტის – შუალედური და საბოლოო – მომზადება და წარდგენა. შეფასება მოხდება ყველა სტრატეგიული მიზნისათვის, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული „ინდიკატორების“ გამოყენებით; დოკუმენტის მიზანი არის გავზომოთ სტრატეგიის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შუალედური და გრძელვადიანი გავლენა ზოგადად სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებზე, წინასწარ შემუშავებული, მეცნიერულად დამტკიცებული ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც იძლევა შედარებისა და შეფასების საშუალებას. უზრუნველყოფილი იქნება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობა შეფასების პროცესში. ამავდროულად, საქართველოს მთავრობა მიესალმება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ალტერნატიული მონიტორინგის მომზადებას, ასევე შეფასებებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაციის გასაჯაროებას - როგორც ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს მიერ და ასევე სხვა დაინტერესებულ პირებისთვის.

მრჩეველთა კომიტეტის მიერ 2002 აღწერის სტრატეგიაში ნახსენებ ციფრებთან დაკავშირებით გამოთქმული წუხილის საპასუხოდ, **სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ სტრატეგიის დოკუმენტი საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იქნა 2015 წლის აგვისტოში, ხოლო უახლესი მონაცემები (2014 წლის აღწერიდან), საჯარო გახდა 2016 წლის აპრილში.

### პუნქტი 43

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა იურიდიული ჩარჩო, რომელიც იძლევა რეპატრიაციის და ინტეგრაციის საშუალებას, მათ შორის საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობისთვის. საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს გამარტივებულ, მსუბუქ და ეფექტურ პროცედურას რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებისთვის, საქართველოს მოქალაქეობის მოსაპოვებლად.

არსებობს ცალკე გამარტივებული მოქალაქეობის მინიჭების პროცედურა, რომელიც ამოქმედებულია სპეციალურად იმ პირებისთვის, რომლებიც ფლობენ რეპატრიანტის სტატუსს. ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ 14-ე მუხლის, მე -2 პუნქტის შესაბამისად, ზრდასრული პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების ზოგადი მოთხოვნები არ ვრცელდება პირებზე, რომელთაც აქვთ რეპატრიანტის სტატუსი. რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიენიჭება მოქალაქეობის საკითხთა კომისიის (შემდგომ – კომისია) ნორმატიული აქტით – კომისიის დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.<sup>1</sup>

კერძოდ, 2018 წლის 4 სექტემბრის მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დადგენილება №2-ის (შემდგომში „დადგენილება“) 31-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, საქართველოში რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს ამ სტატუსის მინიჭებიდან 2 წლის განმავლობაში შეუძლია განცხადებით მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნით და უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დაბადების მოწმობის ასლი (თუ მოქალაქეობის მინიჭების მსურველი პირი არასრულწლოვანია ან/და იგი დაბადებულია საზღვარგარეთ);

ბ) რეპატრიანტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დადგენილების 31-ე მუხლის 2 პუნქტი ადგენს რომ საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ ბრძანებულების გამოცემიდან 5 წლის ვადაში რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა სააგენტოს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უნდა წარუდგინოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი. ამ ვადაში სხვა ქვეყნის მოქალაქეობიდან გასვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არასაკმარისი მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ითვლება ძალადაკარგულად.

5 წლიან საშეღავათო პერიოდს საქართველოს მთავრობა ანიჭებს იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ რომ რეპატრიანტებს აქვთ გონივრული დრო შეეგუონ ახალ გარემოს და გახდნენ ქართული საზოგადოების სრულად ინტეგრირებული წევრები. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს რეპატრიანტებს აღიქვან საქართველო როგორც მათი სრულფასოვანი ახალი

<sup>1</sup> See Para 2 of the Article 14 of the Organic Law of Georgia on Georgian Citizenship. The English text of the Law is available at: <https://www.matsne.gov.ge/en/document/view/2342552?publication=4>



სამშობლო. და ეს წარმოადგენს იმ ვალდებულების ბირთვს, რომელიც საქართველომ მიიღო მაშინ, როდესაც გახდა ევროპის საბჭოს წევრი.

2013 წლიდან დღემდე, 494 რეპატრიაციის სტატუსის მქონე პირმა მიიღო საქართველოს მოქალაქეობა. იმ რეპატრიანტებისთვის, რომელთაც სურთ შეინარჩუნონ მათი ძველი მოქალაქეობა, საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების სპეციალურ პროცედურას გამონაკლისის სახით. ეს სპეციალური პროცედურა ითვალისწინებს ორმაგი მოქალაქეობის საშუალებას, ანუ საქართველოს მოქალაქეობის მიღებას, და სხვა ქვეყნის მოქალაქეობის შენარჩუნებას.

საქართველოს ორგანული კანონის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

1. საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით შეიძლება მიანიჭოს სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან რომლისთვისაც საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფო ინტერესების შეფასებისას, მათ შორის, მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები:

ა) სხვა ქვეყნის მოქალაქეს საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია და იგი ან მისი წინაპარი არის:

ა.ა) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ან ამ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი;

ა.ბ) სხვადასხვა დროს პოლიტიკური მოსაზრებით ან მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო ემიგრაციაში წასული პირი;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირმა საქართველოს მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭებისათვის დადგენილ ფარგლებში უნდა იცოდეს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ენა;

ბ) საქართველოს ისტორია და სამართლის ძირითადი საფუძვლები.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, 17 მუხლში დაცული სამართლებრივი რეგულირება, კერძოდ, 2 პუნქტის „ა.ბ“ ქვე-პუნქტი რეპატრირებული მესხებისთვის უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლებას, სხვა ქვეყნების, მათ შორის აზერბაიჯანის, მოქალაქეობაზე უარის თქმის გარეშე.

#### **პუნქტი 44**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** აცხადებს, რომ განხილულმა კვოტამ შესაძლოა ჩამოაყალიბოს არასწორი შთაბეჭდილება, რომ ბოშათა თემების მიკუთვნებული ადამიანებისთვის სტატუსი და დოკუმენტაციის არარსებობა დიდ პრობლემას წარმოადგენს, როდესაც აღნიშნული ეთნოსის ადამიანები არ ფლობენ მოქალაქეობას და შესაბამისი დოკუმენტაცია ძალიან ცოტაა რაოდენობრივად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს

მთავრობა მიიჩნევს, რომ ზემოხსენებული კვოტა მოითხოვს რეფორმულირებას რათა ხაზი გაესვას, რომ ეს პრობლემა არ არის მასშტაბური.

#### **პუნქტი 45**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „შსს“) განმარტავს, რომ ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით მუშავდება პროექტი სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკური მონაცემების რეგისტრაციის მეთოდოლოგიის განვითარებისათვის. პროექტის მთავარი მიზანი არის შეაგროვოს სტატისტიკური მონაცემები საერთო მეთოდოლოგიის საშუალებით მართლმსაჯულების სისტემაში (შსს, პროკურატურა და სასამართლო). პროექტი ასევე მიზნად ისახავს სიძულვილის დანაშაულის კონცეფციისა და ძირითადი ასპექტების გაცნობას. პროექტი შეესაბამება თანამშრომლობის პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილის დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მიზნებს, რომელიც განხორციელდა ევროპის საბჭოს „2016-2019 სამოქმედო გეგმა საქართველოსთვის“ ფარგლებში. ის ეხმარება ხელისუფლების ორგანოებს, გააუმჯობესოს მონაცემთა შეგროვების პროცესი.

#### **პუნქტი 46**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** აღნიშნავს, რომ მასშტაბური კარდაკარ საინფორმაციო/ცნობიერების ამაღლების კამპანია დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების, ეთნიკური უმცირესობების უფლებების, ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, ადრეული ქორწინების, ოჯახური ძალადობის, ტრეფიკინგის შესახებ რეგულარულად ტარდება რეგიონებში, სადაც კომპაქტურად დასახლებული არიან ეთნიკური უმცირესობები. მხოლოდ 2018 წელს 300-ზე მეტი შეხვედრა გაიმართა; შესაბამისი მასალები მომზადდა უმცირესობების ენებზე და მიეწოდა მათ.

2018 წელს, პროექტის „ახალგაზრდები გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით, მოხალისეებმა - განმანათლებლებმა გამართეს დაახლოებით 200 საინფორმაციო შეხვედრა ოჯახური ძალადობისა და ადრეული ქორწინების შესახებ 5 რეგიონის 66 სოფელში (15 მუნიციპალიტეტში), რომელსაც დაესწრო 6300 ბენეფიციარი.

#### **პუნქტი 47**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ ბოშათა ინტეგრაციის საკითხი წარმოადგენს სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. ამ

საკითხთან დაკავშირებით, წარმოდგენილი იყო მთელი რიგი ინიციატივები და განხორციელდა კონკრეტული ქმედებები. მათ შორის:

- სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიაში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი მცირე ეთნიკური უმცირესობებისთვის, მათ შორის ბოშებისთვის. კომუნიკაციის ეს ფორმატი სამოქალაქო საზოგადოების და ეთნიკური უმცირესობების, ასევე ბოშათა წარმომადგენლების მონაწილეობით გულისხმობს დისკუსიებს / კონსულტაციებს მცირე უმცირესობათა ჯგუფების საკითხებზე, რეკომენდაციების მომზადებას შესაბამისი უწყებებისთვის;
- მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო ქვეპროგრამის "სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერა" ინიცირება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვების, ასევე ბოშა ბავშვების ფორმალურ განათლებაში ინტეგრაციას. ამ პროგრამის ფარგლებში, წარმოდგენილია საგანმანათლებლო კლუბები, სადაც ბოშა ბავშვებისთვის იმართება მათი ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები საგანმანათლებლო საკითხებზე, სახელმწიფო პროგრამებსა და მომსახურებაზე, ოჯახურ ძალადობაზე. ეთნიკური ქართველი თანატოლები ახორციელებენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურულ აქტივობებს, მათ შორის ქართული ენის გაკვეთილებს. პროგრამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული ენის შემსწავლელი ბავშვების რაოდენობა, ასევე 289–მდე გაიზარდა იმ ბოშა ბავშვების რაოდენობა, რომლებიც სწავლობენ საჯარო სკოლაში;
- ბოშა მოსახლეობისთვის ტარდება საინფორმაციო/ცნობიერების ასამაღლებელი შეხვედრები საგანმანათლებლო საკითხებზე, სახელმწიფო პროგრამებსა და მომსახურებაზე, ქალთა უფლებებისა და ოჯახური ძალადობის შესახებ;
- მიმდინარეობს ბოშათა რეგისტრაციის პროცესი შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მისაღებად. ბოშები ასევე უზრუნველყოფილნი არიან უფასოდ სამართლებრივი კონსულტაციებით.

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** განმარტავს, რომ სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ყველა შესაბამისი, ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სამინისტრო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, შეიქმნა ტრეფიკინგის უწყებათაშორისი საბჭოს მიერ, 2014 წლის ნოემბერში. სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო ქუჩაში დასაქმებული და მცხოვრები ბავშვების წინაშე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და ამ საფრთხეების ეფექტური დაძლევის ღონისძიებების შემოთავაზება. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მიმართულია ქუჩაში დასაქმებულ და მცხოვრებ ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემებისკენ, მათ შორის ცვლილებები ბავშვთა იდენტიფიკაციის საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებისთვის და მათთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების უზრუნველყოფისთვის. საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი დაამტკიცა ტრეფიკინგის უწყებათაშორისმა საბჭომ და საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის აგვისტოში, რომელშიც წარმოდგენილი იყო კონცეფცია „მიუსაფარი ბავშვები“. მიუსაფარი ბავშვებისთვის და ძალადობის მსხვერპლთათვის საიდენტიფიკაციო

დოკუმენტების უფასოდ გადაცემის მიზნით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ წარმოადგინა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო.

#### **პუნქტი 48**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** აღნიშნავს, რომ 2007 წლის 11 ივლისს მიღებულში საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ ამღვეს შესამდებლობას, დეპორტირებულმა მესხებმა და მათმა შთამომავლობამ, შესაბამისად დადგენილი წესით, მიმართონ სახელმწიფოს რეპატრიანტის სტატუსის მიღების თხოვნით. რეპატრიანტის სტატუსის მიღება საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების წინაპირობაა. კანონი ითვალისწინებს და განიხილავს სამართლიანობის აღდგენისა და ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნების პრინციპებს. აქედან გამომდინარე, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს შეუძლია ჩამოვიდეს და დასახლდეს საქართველოში საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის შესაბამისად. შეზღუდული რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირებისთვის საქართველოში მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნების მიზნით ჩამოსვლა არ იზღუდებადა ხელმისაწვდომია ასევე რეპატრიანტის სტატუსის არქმონე ყველა დეპორტირებული მესხის და მათი შთამომავლობისთვის, საქართველოს კანონის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ფარგლებში. დაბრუნება არის ინდივიდუალური გადაწყვეტილება და სახელმწიფო უზრუნველყოფს შესაბამისი კანონმდებლობის შექმნას მათთვის, ვინც მზად არიან დასაბრუნებლად.

გარდა ამისა, **სახელმწიფო მინისტრის აპარატი** მოუწოდებს მრჩეველთა კომიტეტს გაითვალისწინოს თანამომხსენებლების საინფორმაციო ნოტის პუნქტი 35, (საინფორმაციო ნოტა მომზადდა თანამომხსენებელთა თბილისში ვიზიტის შემდეგ (28 – 30 მარტი, 2017 წელი), საქართველოს მიერ ნაკისრი მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების კომიტეტის (მონიტორინგის კომიტეტი) მიერ), სადაც წერია, რომ "რეპატრიანტების რაოდენობის სიმცირე, მიუხედავად მინიჭებული სტატუსების რაოდენობისა, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რეალური რეპატრიაცია არის რთული და შრომატევადი პროცესი, რომლის დროსაც რეპატრიაციის მსურველები ხვდებიან სხვადასხვა დაბრკოლებებებსა და სირთულეებს, მათი უმეტესობა, კი სცდება საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხს. აქედან გამომდინარე, არ იქნება გამართლებული თითოეული რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირის საქართველოში რეპატრიაციის ლოდინი იმისთვის, რომ ასამბლეამ შესრულებულად ჩათვალოს საქართველოს გაწევრიანების დროს აღებული ვალდებულება".

#### **პუნქტები 54, 56**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო განმარტავს, რომ "კულტურის ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი „ეთნიკურ უმცირესობათა თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა“. სამინისტროში შევიდა 10 განაცხადი საიდანაც გაიმარჯვა 6 პროექტმა:

1. სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის პროექტი **"ჰენრიკ ჰრინვესკი - 150"** (განხორციელების პერიოდი: 1 ივნისი -30 ნოემბერი, 2019). პროექტი მიზნად ისახავს ორენოვანი წიგნი-ალბომის მომზადებას და გამოქვეყნებას საქართველოში მცხოვრები პოლონელი ხელოვანის ჰენრიკ ჰრინვესკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ;

2. სსიპ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის - ხელოვნების სასახლე პროექტი **„მრავალეროვანი საქართველო - ფლორენსკების ოჯახის მაგალითზე ქართულ-სომხურ-რუსულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობები"** (განხორციელების პერიოდი: 15 ივნისი -15 ნოემბერი, 2019). პროექტი მიზნად ისახავს ფლორენსკების ოჯახის შემოქმედებითი მემკვიდრეობის კატალოგის გამოცემას, აგრეთვე გამოფენის მოწყობას სახელწოდებით "მრავალეროვანი საქართველო - ფლორენსკების ოჯახის მაგალითზე".

3. ა(ა)იპ „საერთაშორისო საზოგადოება კავკასიური მოზაიკის" პროექტი **„ოსური ზღაპრები, ორენოვანი, ილუსტრირებული გამოცემა"** (განხორციელების პერიოდი: 15 მაისი - 30 ნოემბერი 2019). პროექტი მიზნად ისახავს ქართულ-ოსური ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელებას. პროექტის ფარგლებში გამოიცემა 250 წიგნი;

4. სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის პროექტი **„სარა ბარა ბზიაბზო ანუ მე შენ მიყვარხარ"** (განხორციელების პერიოდი: 15 მაისი - 1 ნოემბერი 2019). პროექტის მიზანია სპექტაკლის "სარა ბარა ბზიაბზო ანუ მე შენ მიყვარხარ" შექმნა აფხაზური ხალხური ზღაპრების მოტივებზე, რომელიც დაიდგმება მოზარდ მაყურებელთა თეატრის დიდ სცენაზე.

5. ა(ა)იპ „აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუთა კავშირის "ჰერა" პროექტი **„საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა მატერიალურ-კულტურული ნიმუშების ჩაწერა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე აუდიო წიგნების სახით"** (განხორციელების პერიოდი: 1 ივნისი - 31 აგვისტო, 2019 წ.). პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა (აზერბაიჯანული და სომხური) ენებზე აუდიო წიგნების ჩაწერა. პროექტის ფარგლებში გამოიცემა 200 აუდიო წიგნი;

6. ა(ა)იპ „სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი წმიდა ეკლესიის საქართველოს ეპარქიის“ პროექტი **„ჰოვანეს თუმანიანი-150"**(განხორციელების პერიოდი: 1 ივნისი - 2019 წლის 1 დეკემბერი). პროექტი მიზნად ისახავს სომეხი პოეტის ჰოვანეს თუმანიანის ორენოვანი

საიუბილეო კრებულის ახალი თარგმანის გამოცემას. პროექტის ფარგლებში გამოიცემა 500 წიგნი.

პროგრამით „კულტურის ხელშეწყობა“ განსაზღვრული პრიორიტეტის „კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება“ ფარგლებში, სსიპ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ განხორციელდა პროექტი „**მრავალფეროვანი საქართველო**“ (განხორციელების პერიოდი: 22 აპრილი - 2019 წლის 2 ნოემბერი). პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობას, ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას და შემოქმედებითი უნარების შემდგომ განვითარებას. პროექტის ფარგლებში კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები გაიმართება 3 რეგიონში: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და პანკისის ხეობა.

### **პუნქტი 58**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ ტოლერანტობის მხარდაჭერის სტრატეგიული მიზნის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების/პროექტების იმპლემენტაციას, კერძოდ, მოსწავლეთა ვიზიტებს სახელმწიფო უწყებებში ინფორმაციის/ცნობიერების ამაღლების მიზნით, აუდიო თეატრალური წარმოდგენების პრეზენტაციებს; წიგნების პრეზენტაციებს, სემინარების, საჯარო ლექციებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზებას სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. კულტურათაშორისი და ტოლერანტობის საკითხები წარმოდგენილია სკოლებში, სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმძღვანელოებში და ეს კომპონენტი ინტეგრირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში.

### **პუნქტი 61**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს)** აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს. განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს სენსიტიური მიდგომების შემუშავება, დანაშაულზე ეფექტური რეაგირების უზრუნველყოფის პარალელურად. ამ მიზნით 2018 წლის იანვარში შსს-ში ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი. ამ ახალი დეპარტამენტის მიზანია უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგის და მცირეწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულებზე დროული რეაგირება და ეფექტური გამოძიება. შსს აკონტროლებს სისხლის სამართლის ყველა საქმეს, რომელიც შეიძლება შეიცავდეს სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულს. სამინისტროს ტერიტორიულ ერთეულებსა და აღნიშნულ დეპარტამენტს შორის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, 2018 წელს სიძულვილის მოტივის აღმოჩენის მაჩვენებელი გაიზარდა.

2019 წელს დეპარტამენტის მიერ ეფექტურად შესრულებულმა სამუშაომ გამოიწვია მისი გაფართოება და გარდაქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის

მონიტორინგის დეპარტამენტად, რომელიც მაღალ დონეზე უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვასა და ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას.

შსს-ში დაიწყო სპეციალიზაციის პროცესი. 2018 წლის განმავლობაში სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით პოლიციის 50 თანამშრომელს ჩაუტარდა ორი 3-დღიანი ტრენინგი სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე. უფრო მეტიც, შსს ახორციელებს პროგრამას TAHCLE (ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ სამართალდამცავი პირებისთვის) ODIHR-თან ერთად. ეუთო-ს ODIHR-სა და შსს-ს შორის შეთანხმების საფუძველზე, TAHCLE პროგრამა შემუშავებულია ერთობლივად, შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, შსს აკადემიის, პროკურატურის, სახალხო დამცველის აპარატისა და შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

TAHCLE არის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიციის ცოდნისა და უნარების ამაღლებას, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიებისთვის. ის მოიცავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ. პროგრამის ფარგლებში ითარგმნა TAHCLE სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების სასწავლო გეგმა და ადაპტირდა საქართველოსთვის, ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები ტრენერებისთვის. შემდეგი ნაბიჯი არის ქართული პოლიციის თანამშრომლების მომზადება სასწავლო გეგმის შესაბამისად. ეს პროგრამა განხორციელების პროცესშია.

ევროპის საბჭოსთან ერთად შეიქმნა სასწავლო მოდული „ლგბტ პირების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების კონტროლი“. სასწავლო მოდულის მიზანია ცნობიერების ამაღლება და გამომძიებლების სენსიტიურობის ზრდა უმცირესობების მიმართ. კასკადური ტრენინგები ჩატარდება 2019 წლის განმავლობაში და ყველა გამომძიებელი გაივლის ტრენინგს აღნიშნული პროგრამებით მთელი საქართველოს მასშტაბით.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების ეფექტურობის ზრდის გარდა, სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია გამოხატვის უფლების უზრუნველყოფა. ამის ნათელი მაგალითია უმცირესობების წარმომადგენლების აქციები 2018 წლის განმავლობაში, რომელთა დროსაც შსს იცავდა აქციების მონაწილეების უსაფრთხოებას და აძლევდა მათ შესაძლებლობას, თავისუფლად გამოეხატათ საკუთარი აზრი. უფრო მეტიც, ის პირები, რომლებიც ჩადიოდნენ ძალადობრივ აქტებს, დაუყოვნებლივ იქნენ დაკავებულები.

### **პუნქტები 61, 63, 67,**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** დამატებით აღნიშნავს, რომ შსს აკადემია წარმოადგენს საქართველოში ერთადერთ დაწესებულებას, რომელიც პასუხისმგებელია პოლიციის განათლებაზე. აკადემია თავის საბაზისო და გადამზადების კურსებში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს დისკრიმინაციაზე. დისკრიმინაცია, როგორც კურსი, წარმოდგენილია, როგორც ადამიანის უფლებათა მოდულის ნაწილი და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- დისკრიმინაციის სხვადასხვა საფუძვლები;
- პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია;
- საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ;
- სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული;
- სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები.

2018 წლის შემდეგ შსს აკადემიის საბაზისო კურსები მოიცავს მრავალფეროვან საზოგადოებაში წესრიგის დაცვის ცალკე მოდულს. ამ მოდულში პოლიციის თანამშრომლები იღებენ ინფორმაციას საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის შესახებ და სწავლობენ ურთიერთობაში ბარიერების გადალახვის ტექნიკას. მიმდინარე საერთაშორისო სტანდარტებთან მეტი შესაბამისობის მიზნით წინამდებარე მოდული განახლების პროცესშია ევროპის საბჭოს პროექტის „ბრძოლა დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ საქართველოში“ ფარგლებში.

### **პუნქტი 63, 67**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** განმარტავს, რომ შსს-ში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი შეიქმნა 2018 წლის იანვარში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების მონიტორინგის, ხარვეზების იდენტიფიცირებისა და გაუმჯობესების გზების შეთავაზების მიზნით. უწყება ასევე აცხადებს, რომ შსს-მ 2016 წელს სახალხო დამცველის აპარატთან თანამშრომლობით მოამზადა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა 44 გამომძიებელი. მსგავსი ტრენინგი ჩატარდა 2018 წელს.

### **პუნქტები 65, 66, 67, 68; დამატებითი რეკომენდაციები, მესამე პუნქტი**

**საქართველოს გენერალური პროკურატურის** განცხადებით, 2016 წლის დასაწყისში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების შესახებ პროკურორებისთვის შეიქმნა რეკომენდაცია, რომელიც ხელს უწყობს სიძულვილის მოტივის დასაბუთების პრაქტიკაში დამკვიდრებას. 2016 წლის 17 აგვისტოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შორის 3 წლის ვადით გაფორმდა ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წელს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის დახმარებით, საქართველოს პროკურატურაში ჩატარდა ე.წ. PAHCT ტრენინგი (პროკურორები და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ტრენინგი). ტრენინგების შედეგად, გაიზარდა საქართველოს პროკურატურის თანამშრომლების კვალიფიკაცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების მიმართულელებით.

2016 წელს პროკურორებისთვის და პროკურატურის გამომძიებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური გამოძიების შესახებ.



აღნიშნულ ტრენინგებს უძღვებოდნენ როგორც ქართველი ექსპერტები, ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის წარმომადგენლები.

2016 წელს ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული HELP-ის პლატფორმის მეშვეობით, დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში განხორციელდა პირველი დისტანციური სწავლება. 2016 წლის ოქტომბერში ოთხთვიანი სასწავლო კურსი წარმატებით დაასრულა 20-მა პროკურორმა.

2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელიც შეიცავს მითითებებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მოწმეების, სავარაუდო დაზარალებულებისა და ბრალდებულების გამოკითხვა/დაკითხვის შესახებ. აღნიშნული კითხვარი დაეგზავნათ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებს, შედეგად კი გაუმჯობესდა სისხლის სამართლის საქმეებში სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით გატარებული ღონისძიებების ხარისხი და ეფექტურობა.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის დადებითი ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს პროკურატურაში რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების მიმართულებით იქნა გადადგმული. კერძოდ, 2017 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე ეფექტური საპროკურორო ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა რეკომენდაცია, რომელიც შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა. რეკომენდაციაში განმარტებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით მოტივირებული კონკრეტული დანაშაულები (მუხლები), იგი ასევე მოიცავს საკითხებს რელიგიური დანიშნულების მქონე შენობების დაზიანების, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევების სამართლებრივი კვალიფიკაციის შესახებ და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს. აღნიშნული რეკომენდაცია საქართველოს პროკურატურაში გავრცელდა 2017 წლის 11 აგვისტოს.

დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სამოქმედო გეგმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს პროკურატურის მხრიდან იგეგმება შესაბამისი სახელმძღვანელო დებულებების იმპლემენტაციის მონიტორინგი; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საქმეებზე სპეციალიზებული პროკურორების შერჩევა; ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება მნიშვნელოვან საქმეებთან დაკავშირებით; ტრენინგები მენეჯერებისთვის, პროკურორებისთვის, პროკურატურის გამომძიებლებისა და სტაჟიორებისთვის.

მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორები, რომლებიც თავის მხრივ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებს წარმოადგენენ, ერთგებიან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საქმეებში და დაზარალებულებს, მათი სამართალდამცავ უწყებებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, სთავაზობენ ფსიქოლოგიურ დახმარებას. კოორდინატორები უფლებამოსილი არიან, დაზარალებულებს რეფერირების მექანიზმებიც შესთავაზონ.

საქართველოს პროკურატურა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის სექსუალური უმცირესობების მიმართ ჩადენილი დანაშაულების შესახებ საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს. როგორც ზევით აღინიშნა, 2016 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის შორის გაფორმებულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც საქართველოს პროკურატურაში დაინერგა PAHCT ტრენინგი (პროკურორები და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ტრენინგი), სამი წლის ვადით.

აღნიშნული პროგრამის საფუძველზე, 2017 წელს ჩატარდა 2 ტრენინგის ტრენინგი (ToT), რომელშიც მონაწილეობა პროკურატურის 24 თანამშრომელმა მიიღო. ტრენინგების შედეგად, სერტიფიცირებულმა ტრენინგებმა დაატრენინგეს 4 ჯგუფი და მათში მონაწილე 91 პირი. გარდა აღნიშნულისა, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, პროკურორებისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგის ტრენინგი და სასწავლო ვიზიტი, მათ შორის პოლონეთში, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

2017 წელს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძოდ, ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა (EMC) და ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) ხელშეწყობით, პროკურორებისთვის ჩატარდა 1 ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების თემაზე. ტრენინგის ფარგლებში განხილულ იქნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ძირითადი ცნებები, საერთაშორისო სტანდარტები, ეროვნული საკანონმდებლო ბაზა, სტერეოტიპები, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების დაზარალებულებთან და მოწმეებთან მუშაობის სტანდარტები, მიკერძოების ინდიკატორები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებული სასწავლო ღონისძიებების პარალელურად, დისკრიმინაციის საკითხებზე არაერთი ტრენინგი იქნა შეთავაზებული. 2017 წელს, საბოლოო ჯამში, აღნიშნულ საკითხზე ტრენინგი პროკურატურის 257-მა თანამშრომელმა გაიარა. ამასთან, პროკურატურის მიერ რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით გაწეული ძალისხმევის ხაზგასასმელად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2017 წელს პროკურატურაში შემუშავდა რეკომენდაცია „რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით

ჩადენილი დანაშაულების სწორი კვალიფიკაციის შესახებ“. აღნიშნული რეკომენდაცია დაეგზავნა საქართველოს პროკურატურის ყველა თანამშრომელს.

2019 წლის 6 თებერვალს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ჩატარდა კონფერენცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების საკითხზე. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს პროკურატურის მიერ, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის მიზნით, განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში. კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის 2016-2018 წლების ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა პროკურორთა სპეციალიზაცია. შერჩეულმა პროკურორებმა გაიარეს გადამზადების ინტენსიური კურსი, შედეგად ისინი იმუშავებენ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. პროკურორთა სპეციალიზაცია გაგრძელდება 2019 წელსაც და მოიცავს პროკურატურის ყველა ტერიტორიულ ერთეულს.

2018 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტური გამოძიების თემაზე ჩატარდა 4 ტრენინგი, 65 პროკურორისა და პროკურატურის გამომძიებლის მონაწილეობით.

გარდა ამისა, 2018 წელს ჩატარდა ტრენინგი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც პროკურატურის წარმომადგენლები, ასევე ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები. საქართველოს პროკურატურისა და სხვადასხვა მედია ორგანიზაციის 35-მა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ტრენინგში.

2016 წელს სიძულვილის მოტივი შესწავლილ იქნა 63 სისხლის სამართლის საქმეში. მათ შორის:

- სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა 4 საქმეში;
- გენდერული იდენტობის ნიშანი - 20 საქმეში;
- სქესის/გენდერის ნიშანი - 3 საქმეში;
- ეროვნული ნიშანი - 1 საქმეში;
- ეთნიკური ნიშანი - 1 საქმეში;
- რელიგიის ნიშანი - 27 საქმეში;
- რასობრივი დისკრიმინაცია/ ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა - 4 საქმეში;
- სხვა ნიშანი - 1 საქმეში.

2016 წელს სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. მათ შორის:

- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 4 პირის მიმართ;
- რელიგიის ნიშნით - 16 პირის მიმართ;
- სქესის/გენდერის ნიშნით - 3 პირის მიმართ;
- ეროვნული ნიშნით - 4 პირის მიმართ
- რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნით - 14 პირის მიმართ;
- 3 სხვა საქმის გამოძიებისას (1 შესაძლო რელიგიური ნიშნით, 2 შესაძლო ეთნიკური ნიშნით) სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა, შესაბამისად აღნიშნული არ იქნა მითითებული ბრალდების დადგენილებაში.

2017 წელს სიძულვილის მოტივი შესწავლილ იქნა 86 სისხლის სამართლის საქმეში. მათ შორის:

- სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა 12 საქმეში;
- გენდერული იდენტობის ნიშანი - 37 საქმეში;
- სქესის/გენდერის ნიშანი - 25 საქმეში;
- ეროვნული ნიშანი - 1 საქმეში;
- ეთნიკური ნიშანი - 1 საქმეში;
- რელიგიის ნიშანი - 10 საქმეში;

2017 წელს სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. მათ შორის:

- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 4 პირის მიმართ;
- გენდერული იდენტობის ნიშნით - 4 პირის მიმართ;
- რელიგიის ნიშნით - 2 პირის მიმართ;
- სქესის/გენდერის ნიშნით - 25 პირის მიმართ;
- 9 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სხვა მოტივით (შესაძლო გენდერული იდენტობის ნიშნით - 6 პირის მიმართ, სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 1 პირის მიმართ, რელიგიის ნიშნით - 2 პირის მიმართ).

2018 წელს, სიძულვილის მოტივი შესწავლილ იქნა 210 სისხლის სამართლის საქმის საქმეში. მათ შორის:

- სექსუალური ორიენტაცია - 28 საქმეში;
- გენდერული იდენტობა - 29 საქმეში;
- სქესი/გენდერი - 112 საქმეში;
- ეროვნული ნიშანი - 6 საქმეში;
- ეთნიკური ნიშანი - 2 საქმეში;
- რასა - 2 საქმეში;
- რელიგიური ნიშანი - 23 საქმეში;

- პოლიტიკური შეხედულება - 4 საქმეში;
- შშმ - 3 საქმეში
- ხოლო სხვა ნიშანი - 1 საქმეში.

2018 წელს სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 151 პირის მიმართ. მათ შორის:

- 15 პირს ბრალდება წარედგინა - სექსუალური ორიენტაციის ნიშნით;
- 12 პირს - გენდერული იდენტობის ნიშნით;
- 1 პირს - ეთნიკური ნიშნით;
- 1 პირს - რასის ნიშნით;
- 3 პირს - ეროვნული ნიშნით;
- 2 პირს - რელიგიის ნიშნით;
- 111 პირს - გენდერის/სქესის ნიშნით;
- 3 პირს - პოლიტიკური შეხედულების ნიშნით;
- 2 პირს - შშმ პირის ნიშნით;
- ხოლო 1 პირს - სხვა ნიშნით.

2018 წელს განაჩენი გამოტანილ იქნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის 81 საქმეზე, საიდანაც 88% იყო გამამტყუნებელი, ხოლო 12% გამამართლებელი. რაც შეეხება სხვა საქმეებს, სასამართლოებში მიმდინარეობს მათი განხილვა.

ვიტალი საფაროვის საქმე

საქართველოს პროკურატურამ გიორგი სოხაძესა და ავთანდილ კანდელაკიშვილს წარუდგინა ბრალდება ვიტალი საფაროვის განზრახ მკვლელობისთვის, ჩადენილი ეროვნული შეუწყნარებლობით და ჯგუფურად. ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 30 სექტემბერს, დაახლოებით 04:30 საათზე, ქ.თბილისში, ალექსანდრე დიუმას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე გიორგი სოხაძესა და ავთანდილ კანდელაკიშვილს ვიტალი საფაროვთან მოუვიდა შელაპარაკება, რა დროსაც გაიგო, რომ ვიტალი საფაროვი იყო ებრაელი და ეროვნული და ეთნიკური უმცირესობის წევრთა უფლებების დამცველი. აღნიშნულის შედეგად, ისინი ძლიერ გაღიზიანდნენ და ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი სიძულვილის საფუძველზე, ავთანდილ კანდელაკიშვილმა ვიტალი საფაროვს სხეულის სხვადასხვა ნაწილში, მოკვლის მიზნით დანით მრავლობითი დაზიანებები მიაყენა. ვიტალი საფაროვი შეეცადა მისგან თავის დაღწევას, რაც ვერ შეძლო, ვინაიდან იგი ზურგის მხრიდან გიორგი სოხაძემ დაიჭირა და მაშინ, როდესაც ავთანდილ კანდელაკიშვილი აგრძელებდა ვიტალი საფაროვისთვის ჭრილობების მიყენებას, ე.წ. კასტეტით მიაყენა დაზიანებები. მიღებული დაზიანებების შედეგად ვიტალი საფაროვი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ორივე ბრალდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ და 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

### თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებს, ადვოკატებს და მათ მიერ მოწვეული ექსპერტებს 5-ჯერ მიეცათ შესაძლებლობა სრული მოცულობით გაცნობოდნენ მიმდინარე გამოძიების მასალებს, გამოეხატათ საკუთარი პოზიცია გამოძიების შესახებ და ეშუამდგომლათ კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებისა და ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. საქმეზე ინტენსიურად მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

### ჯგუფურად ჩადენილი ხულიგნობა და რასობრივი დისკრიმინაცია

2017 წლის 14 ივლისს უკიდურესმა მემარჯვენე ჯგუფმა, ე.წ. „ქართულმა მარშმა“ თბილისში მოაწყო არატოლერანტული მსვლელობა, რა დროსაც აპროტესტებდნენ მიგრანტების ყოფნას საქართველოში. აღნიშნული ულტრანაციონალისტური ჯგუფები აქტიურად იყენებდნენ სოციალურ ქსელებს ქსენოფობიასა და ჰომოფობიაზე დაფუძნებული სიძულვილის ენის გასავრცელებლად. პროტესტს არაქართული წარმომავლობის მქონე პირის კუთვნილი რესტორნის დარბევა მოჰყვა. შესაბამისად, 12 პირს, მათ შორის 7 არასრულწლოვანს, წარედგინათ ბრალდებები ჯგუფურად ჩადენილი რასობრივი დისკრიმინაციისა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, ჯგუფურად და იარაღად სხვა საგნის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის ფაქტებზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ყველა ბრალდებული სრულად გამართლდა წარდგენილ ბრალდებებში. განაჩენი ბრალდების მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს საქმის არსებითი განხილვა.

### მუსლიმთა შეიხის საქმე

ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ყოფილი შეიხის მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. საქმეზე ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება. ამ ეტაპზე კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის. საქმეზე გამოძიება გრძელდება.

### **პუნქტი 68**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** განმარტავს, რომ საქართველოს პროკურატურის მონაცემების მიხედვით, 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისთვის დაიწყო 44 პირის წინააღმდეგ. 2018 წელს 151 პირს დასდეს ბრალი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენაში. ეს მონაცემები აღემატება წინა წლის მონაცემებს და ეს მეტყველებს იმაზე, რომ პოლიციის მუშაობის ეფექტურობა გაიზარდა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლები მჭიდროდ თანამშრომლობენ უმცირესობების უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან. მათგან ყოველდღიურად ხდება განცხადებებისა და შენიშვნების მიღება.

პოლიციის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება და მათი დამოკიდებულების შეცვლა წარმოადგენს შსს-ს ერთ-ერთ პრიორიტეტს. ამ მიზნით 2018 წლის განმავლობაში შსს-მ ჩაატარა მთელი რიგი ტრენინგები და აქტიურად ახორციელებს ტრენინგ-პროგრამებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა 2018 წლის წლიურ ანგარიშში თანასწორობისა და დისკრიმინაციის შესახებ შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა შეაფასა, როგორც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

### **პუნქტი 69**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** განმარტავს, რომ მიმდინარე რეფორმების პროექტის ფარგლებში შსს-ს გადაწყვეტილი აქვს გააუმჯობესოს პოლიციის მიდგომა უმცირესობისა და დისკრიმინაციის და/ან სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების მიმართ. პოლიციის საქმიანობა რეგულარულად კონტროლდება შსს-ს გენერალური ინსპექციის მიერ, რომელიც წარმოადგენს პოლიციის მიერ ჩადენილი დარღვევების შიდა გამოვლენასა და დისციპლინური სანქციების დაწესებაზე პასუხისმგებელ ორგანოს. გენერალური ინსპექციის ეფექტურობა ვლინდება მომსახურების არაჯეროვნად შესრულების გამო დაკისრებული სანქციების რაოდენობაში. წინამდებარე ინფორმაცია რეგულარულად ქვეყნდება სამინისტროს ვებ-გვერდზე.<sup>2</sup>

გენერალური ინსპექციისთვის მოქმედებს ცხელი ხაზი (126), რითაც შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების მიერ ეფექტური კონტროლის განხორციელება შსს-ზე. ასეთი კომუნიკაციის გამოყენება გულისხმობს მოსახლეობის მხარდაჭერას დისციპლინარული ნორმების ნებისმიერი და ყველა დარღვევის, და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არასათანადო შესრულების შემთხვევების გამოვლენასა და შესაბამის რეაგირებაში.

### **პუნქტები 78, 79**

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** განმარტავს, რომ საგადასახადო შეღავათები გათვალისწინებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით. აღნიშნული კოდექსის ნორმები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის საგადასახადო შეღავათებს ითვალისწინებდა, გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. აღნიშნული საკონსტიტუციო სარჩელის განხილვა დასრულდა 2018 წლის

---

<sup>2</sup><https://info.police.ge/page?id=234>

3 ივლისს და 2019 წლის 1 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი და ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლება შეეხო ყველა რელიგიის ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციას და მოხატვას. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო კოდექსის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს რელიგიური გაერთიანებებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადახედილია და სრულად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციასა და თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს.

### **პუნქტი 80**

**საქართველოს პარლამენტი** განმარტავს, რომ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი აქტიურად მუშაობს რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად. კომიტეტმა ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, სადაც ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა წარმოადგინოს თავისი მოსაზრება რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები, აღმასრულებელი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, სახალხო დამცველის აპარატი და, ასევე საზოგადოება ჩართულია სამუშაო ჯგუფში. სამუშაო ჯგუფის მიზანი არის საქართველოში წარმოდგენილი კონფესიების მიერ რელიგიის თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა.

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1509 და 1509<sup>1</sup> რელიგიურ გაერთიანებებს სრულ თავისუფლებას აძლევს საკუთარი სურვილით აირჩიონ თვიანთი სამართლებრივი სტატუსი. კერძოდ, რელიგიური გაერთიანებები რეგისტრირდებიან როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირებად (სსიპ) და კერძო სამართლის იურიდიულ პირებად ა(ა)იპ, ასევე შეუძლიათ განახორციელონ საქმიანობა როგორც არარეგისტრირებულმა კავშირებმა. ამ რელიგიურ ორგანიზაციებისა და სააგენტოს თანამშრომლობით შეიქმნა და ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომელშიც მონაწილეობს საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანება. კერძოდ:

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია;
- საქართველოს მუსლიმთა სამმართველო;
- ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია
- სომეხთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია;
- საქართველოს ებრაელთა კავშირი;
- საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია;
- საქართველოს ევანგელურ-პროტესტანტული ეკლესია;
- სახარების რწმენის ეკლესია;
- კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება;



- იეზიდთა სასულიერო საბჭო.
- თბილისის საერთაშორისო ბაპტისტური ეკლესია
- საქართველოს სახარების ქრისტიან-ბაპტისტთა ეკლესიების კავშირი

ინტერელიგიური სათათბიროს ფორმატში პერიოდულად ტარდება სხდომები, რომელთა მიმდინარეობის დროს დისკუსიის შედეგად განისაზღვრა იმ საკითხთა წრე რომლის განხილვაც სააგენტოს ინიციატივით დაიწყო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტში. დღემდე ჩატარდა ხუთი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ რელიგიური, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის სახალხო დამცველის წარმომადგენლობა. განხილვის პროცესში ჩამოყალიბდა რელიგიური ორგანიზაციების მიერ დასმული საკითხები, რომლებიც უახლოს მომავალში განიხილება თემატურად.

საკულტო ნაგებობების ისტორიული მფლობელების იდენტიფიცირების გადაუჭრელ საკითხებთან დაკავშირებით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აქტიურად მუშაობს სხვადასხვა უწყებებთან ერთად. 2018-2020-ი წლების „ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში 18.1.9.2 პუნქტი ცალსახად მიგვითითებს ამ მიმართულებით კონცეფციის შემუშავებას. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის მონაწილეობით. საქართველოში მოქმედი სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი არ ითვალისწინებს რელიგიური ორგანიზაციებისათვის საკულტო ნაგებობების საკუთრებაში გადაცემას. სააგენტოს ინიციატივით და ხელშეწყობით სააგენტოსთან არსებულ „რელიგიურ გაერთიანებათა ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი კომისიის“ მიერ რელიგიურ ორგანიზაციებს უვადო სარგებლობის უფლებით გადეცათ მათ მფლობელობაში არსებული საკულტო ნაგებობები, რამაც ხელი შეუწყო საკულტო ნაგებობების სრულყოფილ ფუნქციონირებას.

### **პუნქტი 83**

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** აღნიშნავს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებთან და რელიგიურ ორგანიზაციებთან ერთად მუდმივად მუშაობს ქვეყანაში რელიგიური სიტუაციის გაუმჯობესების მხრივ, რაც დასტურდება ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური კომისიის, საერთაშორისო რელიგიის თავისუფლების საკითხებზე (USCIRF) მიერ მომზადებულ ყოველწლიური ანგარიშით, სადაც საქართველო ბოლო წლებში სისტემატურად ხვდება რელიგიის თავისუფლების მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნების რიცხვში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ნდობის მაღალ ხარისხზე მიანიშნებს სააგენტოსთან არსებულ ინტერ-რელიგიურ სათათბიროში საქართველოში არსებულ რელიგიური ორგანიზაციებიდან უმრავლესობის ჩართულობა, ასევე რელიგიური ორგანიზაციების უმრავლესობა აქტიურად თანამშრომლობს სააგენტოსთან მათ წინაშე წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტისა და მოგვარების პროცესში. აღსანიშნავია რელიგიურ ორგანიზაციათა უმრავლესობა აქტიურ მონაწილეობას იღებს სააგენტოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში, მაგალითად ყოველწლიურ ინტერრელიგიურ კონფერენციებში, ინტერ-რელიგიურ დეკლარაციათა: „ქალი – მშვიდობის დესპანი“ და „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისათვის“ შემუშავებასა და მიღებაში, ინტერრელიგიური კალენდრის წარმოებაში, საქართველოს რელიგიური რუკისა და საქართველოში მოქმედი საკულტო ნაგებობების რუკის შემუშავებაში. ჩართულები არიან სახელმწიფო ენის შესწავლის პროექტში და სხვა სოციალურ აქტივობებში.

#### **პუნქტი 84**

**რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** განმარტავს, რომ საქართველოში არსებული მუსლიმ თემთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმი თემი საქართველოში რიცხოვნობით მეორეა, რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს მოსახლეობის თითქმის 10%, სახელმწიფო განსაკუთრებულ მზრუნველობით დამოკიდებულებას იჩენს ამ თემის მიმართ, 2014 წლიდან დღემდე მათ სახელმწიფოს მხრიდან, ფინანსური დახმარების სახით მიიღეს სულ 14 300 000 ლარი, უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცათ 200 ზე მეტი მეჩეთი, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში აშენდა 15 ახალი მეჩეთი და რელ. სააგენტოს მხარდაჭერით მეჩეთების უმრავლესობას ჩაუტარდა რესტავრაცია, რაც შეეხება მუსლიმ თემში სასულიერო ლიდერების არჩევის საკითხს, სახელმწიფო სეკულარიზმის პრინციპიდან გამომდინარე სრულად გამიჯნულია აღნიშნული პროცესებიდან. რეკომენდაციაში ხსენებული სასულიერო ლიდერის დაკავების ფაქტთან ქართულ სახელმწიფოს არანაირი შემხებლობა არ გააჩნია, რადგან ის დაკავებულ იქნა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

პანკისის საკითხთან დაკავშირებით, აღვნიშნავთ, რომ სააგენტოს აქვს მჭიდრო თანამშრომლობა ადგილობრივ მუსლიმი უზუცესთა საბჭოსთან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინტერრელიგიურ კონფერენციებში. სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ხელშეწყობით ისინი იღებენ, როგორც მატერიალურ, ისე ფინანსურ დახმარებას, ადგილზე განთავსებულ მეჩეთებს ჩაუტარდათ რესტავრაცია, დამონტაჟდა გათბობისა და წყალმომარაგების სისტემა. და ასევე სახელმწიფოს ხელშეწყობითა და სააგენტოს ჩართულობით ხეობაში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა სოციალური, სამედიცინო და ჰუმანიტარული პროექტები.

აღნიშნული პუნქტის ბოლო წინადადების საპასუხოდ **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2020 წლებისთვის მიზნად ისახავს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებების დაცვაში წვლილის შეტანას, მათი სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის უზრუნველყოფას, ეთნიკური უმცირესობების კულტურის შენარჩუნებას და მხარდაჭერას, და ტოლერანტული გარემოს შემდგომ გაძლიერებას. როგორც ეს აღნიშნულია მესამე სახელმწიფო ანგარიშში, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის კოორდინაციას ახორციელებს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ხოლო რელიგიური მრავალფეროვნებასთან და რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები იმართება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ, რომელიც ჩამოყალიბდა 2014 წელს, სახელმწიფო ბრძანების საფუძველზე.

### **პუნქტი 85**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** განმარტავს, რომ საქართველოში ყველას აქვს უფლება შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები საქართველოს კანონის თანახმად გამარტივებული და მსუბუქი პროცედურით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა უნდა იქნეს რეგისტრირებული როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. იურიდიული პირის რეგისტრაცია გულისხმობს როგორც სახელმწიფო, ასევე საგადასახადო რეგისტრაციას. რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, სსიპ იუსტიციის სახლებში (PSH) ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებულ მომხმარებლებთან (ნოტარიუსები, ბანკები და სხვ.)

ყველა კონფესიის წარმომადგენლებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის თანაბარ პირობებში:

1. განცხადება (ივსება მომღები ოფიცერის მიერ ელექტრონულად);
2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი (პირადობის მოწმობა, პასპორტი, ბინადრობის ნებართვა);
3. სარეგისტრაციო განაცხადი (წესდება) სათანადო წესით დამოწმებული და ხელმოწერილი ყველა დამფუძნებლის მიერ, რომელიც უნდა შეიცავდეს:
  - იურიდიული პირის სახელი (არჩეული სახელი არ უნდა იყოს იგივე, რაც უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი);
  - პირის საქმიანობის მიზნები;
  - იურიდიული მისამართი (იურიდიული პირის სამყოფელი ადგილი საქართველოში);

- პირის ელექტრონული ფოსტა;
- ინფორმაცია დამფუძნებელთა შესახებ: სახელი, გვარი, პირადობის მოწმობა და საცხოვრებელი ადგილის მისამართი (დამფუძნებელი შეიძლება იყოს ერთი პირი ( ინდივიდუალური ან / და იურიდიული პირი), ასევე რამდენიმე პირი ერთად);
- ინფორმაცია, ეფუძნება თუ არა ორგანიზაცია წევრობას;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის:
  - მმართველი საბჭო (მაგ. დამფუძნებელთა საერთო კრება ან წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის შემთხვევაში - საერთო კრების წევრები და ა.შ.), არჩევის წესი, უფლებამოსილების (კომპეტენციის) ფარგლები და გადაწყვეტილების მიღების წესი;
  - მმართველი საბჭოს შემადგენლობა, მათ შორის, საბჭოს წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, პირადობა და საცხოვრებელი მისამართი;
  - პირ(ებ)ი რომელიც უფლებამოსილია მართოს/წარმოადგინოს ორგანიზაცია, მისი (მათი) არჩევის პროცედურა, მისი (მათი) უფლებამოსილების (კომპეტენციის) ფარგლები და გადაწყვეტილების მიღების წესი;
  - სახელი, გვარი, პირადობის მოწმობა და საცხოვრებელი მისამართი პირ(ებ)ისა რომლებიც უფლებამოსილია მართოს/წარმოადგინოს ორგანიზაცია. თუ არსებობს რამდენიმე პირი, რომლებიც უფლებამოსილი არიან წარმოადგინონ ორგანიზაცია, უნდა განისაზღვროს ისინი პირს წარმოადგენენ ერთობლივად თუ ცალ-ცალკე.
- გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და წევრის მიღების და გაშვების პროცედურა, თუ ორგანიზაცია ეფუძნება წევრობას;
- გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და ორგანიზაციის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის პროცედურა.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი საცხოვრებელი ადგილის (მისამართი) დამადასტურებელი დოკუმენტი - სათანადოდ შესრულებული თანხმობა უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ ან სათანადოდ ხელმოწერილი შეთანხმება უძრავი ქონების გამოყენების თაობაზე;

5. კომპანიის მმართველად ან წარმომადგენელად დასანიშნი პირის თანხმობა.

თუ დაინტერესებული პირი ორგანიზაციას არეგისტრირებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, ამ შემთხვევაში, დამატებით უნდა იყოს წარმოდგენილი სათანადოდ შესრულებული წერილი/მინდობილობა და წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტი/ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღებისთვის.

თუ ყველა საჭირო დოკუმენტი დადგენილი წესით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ეს უკანასკნელი მოახდენს რელიგიური ორგანიზაციის რეესტრაციას არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს ასეთი შეზღუდვის საფუძველს.

ამონაწერები სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, ასევე სხვა ინფორმაცია, რომელიც ინახება მარეგისტრირებელ ორგანოში (მათ შორის, ორგანიზაციის მიზნები, დამფუძნებლები, მენეჯერები და ა.შ.), საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სარეგისტრაციო დოკუმენტაცია (რეესტრაციის საფუძველი) საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge).

### **პუნქტი 102**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** დამატებით განმარტავს, რომ ფართომასშტაბიანი კარდაკარ საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების კამპანიები სახელმწიფო სოციალური პროგრამების, მომსახურებისა და ბენეფიტების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, როგორცაა განათლება, სოფლის მეურნეობა, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესი, რეგულარულად ტარდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. შეხვედრები ტარდება უმცირესობათა ენებზე; შესაბამისი მასალები მიეწოდება უმცირესობების ენებზე.

საინფორმაციო / ცნობიერების ამაღლების შეხვედრები საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ტარდება 2017 წლის ოქტომბრიდან პროექტის „ახალგაზრდა ევროპელი ელჩები“ ფარგლებში. პროექტი შედგება ორი ეტაპისაგან: მონაწილეების გადამზადება და ტრენინგები რეგიონებში. პროექტის ფარგლებში 70-მდე ტრენინგი ჩატარდა 50 სოფელში; ტრენინგებში ჩართული იყო 1700 მონაწილე.

### **პუნქტი 103**

**სახელმწიფო ენის დეპარტამენტი** აღნიშნავს, რომ არსებული პრაქტიკა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის დებულებებს. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის "სახელმწიფო ენის შესახებ" თანახმად, მუნიციპალიტეტებში, სადაც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები კომპაქტურად არიან დასახლებული, ადგილობრივი ოფიციალური ღონისძიებები (გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სხდომებისა) შეიძლება ჩატარდეს იმ ეროვნულ უმცირესობების ენაზე". (თავი V, მუხლი 20, პუნქტი 2) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198?publication=3>; არაოფიციალური თარგმანი

### **პუნქტები 106, 109, 161; დამატებითი რეკომენდაციები, მეხუთე აბზაცი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განმარტავს, რომ 2016 წელს დამტკიცებული შსს-ს დროებითი მოთავსების იზოლატორების საქმიანობის მარეგულირებელი დამატებითი ინსტრუქციის მიხედვით, იმ პირის იზოლატორში მოთავსებისას, რომელსაც არ ესმის სახელმწიფო ენა, აუცილებელია თარჯიმნის დასწრება. თარჯიმნის დასწრება ასევე სავალდებულოა მაშინ, როდესაც სრულდება დროებითი მოთავსების იზოლატორიდან დაკავებული პირის გაყვანის პროცედურა ან სხვა საჭირო პროცედურები.

უფლებებისა და მოვალეობების სია, რომელიც ხელმისაწვდომია დროებითი მოთავსების იზოლატორში ადმინისტრაციული მიზნებისათვის ან სისხლის სამართლის დანაშაულებისთვის თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის, ითარგმნა 8 სხვადასხვა ენაზე. ეს არის ის ძირითადი ენები, რომლებზეც ქვეყანაში საუბრობენ. თუმცა, თარჯიმნის მომსახურება გათვალისწინებულია ნებისმიერ შემთხვევაში, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ენაზე, რომელზეც ის საუბრობს, უფლებებისა და ვალდებულებების სია უკვე ნათარგმნია, რათა ის უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო ინფორმაციით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას ევროპის საბჭოს წამებისა და არაადამიანური თუ ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშს საქართველოზე, რომელიც უკავშირება 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტს საქართველოში, რომლის ფარგლებში კომიტეტმა 10 დროებითი მოთავსების იზოლატორი მოინახულა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ „დროებითი დაკავების იზოლატორის რამდენიმე ინდივიდუალური შემთხვევის შემოწმების შედეგად, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონული ფორმით, დაადგინა, რომ დაკავებულ პირებს სისტემატურად ეძლევათ საინფორმაციო ფურცლის წაკითხვის საშუალება - საჭიროების შემთხვევაში მათთვის გასაგებ ენაზე ან/და თარჯიმნის დახმარებით - და მოეთხოვებათ ამ ფაქტის დადასტურება მათი ხელმოწერით. ხელმოწერილი საინფორმაციო ფურცლის ასლი ყოველთვის თან ერთვის ინდივიდუალურ ფაილს (სულ მცირე იმ ფაილებს, რომლებიც დელეგაციამ შეამოწმა შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე).“

### **პუნქტები 107, 110**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განმარტავს, რომ სახელმწიფო ახორციელებს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიაში განსაზღვრულ სტანდარტებს. საქართველო იცავს და ინარჩუნებს ეთნიკური უმცირესობების ენებს სხვადასხვა მექანიზმების ფარგლებში, მათ შორის სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

### **პუნქტი 108**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** განმარტავს, რომ 2011 წლიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ფუნქციონირებს ვებგვერდზე: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) - მოსახერხებელი ვებ გვერდი, რომელიც სთავაზობს ხელმისაწვდომობას დაცულ და მუდმივად განახლებად კანონებზე და ყველა სხვა, სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებზე, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ადგილობრივი თვითმმართველობის აქტებსა და საჯარო განცხადებებზე. მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა წვდომა ქონდეს ნებისმიერ კონსოლიდირებულ ნორმატიულ აქტზე და თვალყური ადევნოს ცვლილებებს. ყველა ნორმატიული აქტი ამ ვებგვერდზე შესრულებულია ქართულ ენაზე და მათი უმრავლესობა თარგმნილია ინგლისურ და რუსულ ენებზე; თარგმნა არის არის მიმდინარე პროცესი და შემდგომშიც გაგრძელდება, იმისთვის რომ არაქართულენოვანი პირები უზრუნველყოფილი იყვნენ ინფორმაციით საქართველოს კანონმდებლობის შესახებ.

#### **პუნქტი 109**

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** განმარტავს, რომ მცირე ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმანის და ამ ენებზე თარჯიმნის მომსახურების გამოყენების საჭიროება არ არსებობს, რადგან მცირე ეთნიკური ჯგუფები საქართველოში კარგად ფლობენ ქართულ (სახელმწიფო) ენას და მას ფართოდ იყენებენ (ოჯახურ და საზოგადოებრივ სივრცეში). რაც შეეხება აფხაზურ ენას, ქართულ ენასთან ერთად ის წარმოადგენს აფხაზეთში სახელმწიფო ენას.

#### **პუნქტი 119**

**საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** განმარტავს, რომ 2018 წლიდან ორგანიზებას უწევს "ქართული ენის საზაფხულო სკოლას" ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებისთვის. საზაფხულო სკოლის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინტეგრაციას და ქართული ენის ცოდნის გაღრმავებას. საზაფხულო სკოლის მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა გასართობი, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები, მათ შორის კინემატოგრაფია. ასევე, "ქართული ენის საზაფხულო სკოლა" იგეგმება 2019 წლის ზაფხულისთვის. 2018 წლის გაზაფხულზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ეთნიკური უმცირესობების მოსწავლეებისთვის, ორგანიზება გაუწია ქართული თეატრალური სპექტაკლების კონკურსებს სახელწოდებით "ჩემი პირველი ქართული როლი". კონკურსის მიზანი იყო ქართული ენის ცოდნის დონის განვითარება და შემოქმედებითი უნარების განსაზღვრა.

#### **პუნქტი 124**

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**  
უზრუნველყოფს დამატებით ინფორმაციას:

1. კლასები განისაზღვრება სკოლების მიერ მათი მოთხოვნებისა და რესურსების შესაბამისად;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს არა მარტო ენას როგორც საგანს, არამედ აგრეთვე განსაზღვრავს მის სტანდარტებს;
3. საათების განაწილება ეხება არჩევით საგნებს და განისაზღვრება ეროვნული სასწავლო გეგმით;
4. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, კვირაში 2 საათი ეთმობა არჩევით საგნებს. თუმცა, სკოლას აქვს შესაძლებლობა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებების ფარგლებში დაამატოს საათები.
5. რაც შეეხება ქურთული ენის მასწავლებელს და აგრეთვე სხვა მცირერიცხოვანი უმცირესობების ენების მასწავლებლებს, საქართველოში ამჟამად არ არსებობს მათი მოსამზადებელი დაწესებულებები. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, როგორცაა ეუთო, გეგმაშია შეიქმნას რესურსები მცირერიცხოვანი უმცირესობების ენებისათვის.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს საშუალება აქვთ ჩააბარონ გამოცდა სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენებზე და ჩაირიცხონ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თავდაპირველად, ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს, რის შემდეგაც განაგრძობენ პროფესიული განათლების მიღებას.

## **პუნქტი 125**

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** აცხადებს, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიზანია, საჯარო სექტორში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების კვალიფიკაციის გაუმჯობესება. საჯარო მოხელეებს და საქართველოს ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა გადამზადდეს ზურაბ ჟვანიას სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში და მის ათ რეგიონულ სასწავლო ცენტრში (ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, ბოლნისი, დმანისი, მარნეული, გარდაბანი, საგარეჯო, ახმეტა, ლაგოდეხი) პროგრამის „საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება,“ და „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის“ ფარგლებში. 2018 წლის მონაცემებით, "სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა" გაიარა 12,413-მა მონაწილემ.

- 2018 წელს ჟვანიას სკოლამ განახორციელა პროექტი "ეროვნული უმცირესობების პროფესიული განათლების ხელშეწყობა". პროექტის ფარგლებში შეიქმნა და გამოქვეყნდა სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების ათი სახელმძღვანელო (საექთნო საქმე, დამხმარე კურსი პედაგოგებისათვის, ბუღალტერია, აგრონომია, სასურსათო ტექნოლოგიები, ტურიზმი, მშენებლობა, მეცხოველეობა და ტრანსპორტი).



- უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ლეგალურად ცხოვრობენ საქართველოში აქტიურად არიან ჩართულნი „სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამაში“. კურსის დასრულების დროისთვის სახელმწიფო ენის ფლობის დონე A1 და A2-ია.
- 2018 წელს ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიერ განხორციელდა პროექტი "ვისწავლოთ ქართული აუდიო გაკვეთილებით", რომელიც დაფინანსდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მიერ. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა 12 აუდიო გაკვეთილი ილუსტრაციებით.
- 2018 წელს, 48 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი იყო ჩართული „საჯარო მმართველობის და ადმინისტრირების პროგრამაში“.
- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში კვლავაც აქტიურად აგრძელებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა და სხვა დაინტერესებულ პირთა გადამზადებას.

### **პუნქტი 126**

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** განმარტავს, რომ 2019-2020 სასწავლო წლისთვის ყველა არაქართულენოვანი სკოლის I-VI კლასებში შევა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მომზადებული სახელმძღვანელოები ყველა საგანში, გარდა მშობლიური ენისა. გრიფირებული სახელმძღვანელოებიდან თარგმანისთვის შეირჩა უმაღლესი ქულის მქონე სახელმძღვანელოები. სახელმძღვანელოების თარგმნა დასრულებულია და მიმდინარეობს ავთენტურობის დადგენა.

გასული წლების მსგავსად მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შემოტანას უზრუნველყოფს აზერბაიჯანული და სომხური მხარეები.

არაქართულენოვანი სკოლების VII-XII კლასებში სწავლება გაგრძელდება ძველი სახელმძღვანელოებით და მათი ჩანაცვლება მოხდება ეტაპობრივად (2020-2021 წელს VII კლასი, 2021-2022 – VIII კლასი და ა.შ.)

„ახალი სკოლის მოდელის“ ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ბილინგვურ პროგრამაზე, რომელიც დანერგილ იქნება არაქართულენოვან სკოლებში.

### **პუნქტი 133**

**საქართველოს პარლამენტი** განმარტავს, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლისა და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი პარლამენტს წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის მარტში, წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ანგარიშის განხილვის საფუძველზე პარლამენტი იღებს დადგენილებას, რომელიც შეიცავს ანგარიშის შეფასებას, აგრეთვე პარლამენტის დავალებებს და მათი შესრულების მონიტორინგის ვადებს.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად ამზადებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.

კომიტეტი აანალიზებს ანგარიშს, იმავდროულად ანგარიშში ასახული რეკომენდაციების ადრესატი უწყებებისგან გამოითხოვს წერილობით პოზიციებს მითითებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ანგარიშისა და უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციების დამუშავების შემდეგ კომიტეტი იწვევს სხდომას (სხდომებს), რომელზეც უშუალოდ სახალხო დამცველისგან ისმენს ანგარიშს. კომიტეტის სხდომა საჯაროა. მასში მონაწილეობენ რეკომენდაციების ადრესატი უწყებების ხელმძღვანელი პირები, რომლებიც აფიქსირებენ თავიანთ პოზიციებს ანგარიშთან დაკავშირებით. კომიტეტის სხდომაზე დასწრების და დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა ეძლევა შეუზღუდავად ყველა დაინტერესებულ სუბიექტს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამოქალაქო სექტორის სხვა წარმომადგენლებს.

სახალხო დამცველის ანგარიშის და მასში ასახული თითოეული რეკომენდაციის დეტალური განხილვისა და ანალიზის შედეგად, კომიტეტი იღებს დასკვნას, რომლითაც აფასებს წარმოდგენილ ანგარიშს და შესაბამისი დასაბუთებით გამოყოფს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც რელევანტურია და მიზანშეწონილია მათი გაზიარება. იმავდროულად, კომიტეტი შეიმუშავებს პარლამენტის დადგენილების პროექტს, რომელშიც აისახება ის რეკომენდაციები, რომლებსაც დავალების სახით გასცემს პარლამენტი შესაბამისი უწყებების მიმართ. დადგენილების პროექტი კომიტეტის დასკვნასთან ერთად ეგზავნება პარლამენტის ბიუროს.

პარლამენტის დადგენილებით გაცემული დავალებების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, რომელიც საანგარიშო წლის დასრულების შემდეგ გამოითხოვს წერილობით ინფორმაციებს დავალებების ადრესატი უწყებებისგან აღნიშნული დავალებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის შესწავლის და გაანალიზების შემდეგ კომიტეტი იწვევს საჯარო სხდომას (სხდომებს), რომელზეც დავალებების ადრესატი უწყებების ხელმძღვანელი პირები უშუალოდ წარმოადგენენ თავიანთ ანგარიშებს. ანგარიშების განხილვისა და დავალებების შესრულების მდგომარეობის შეფასებაში მონაწილეობს სახალხო დამცველი. დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობა კვლავ ეძლევა შეუზღუდავად ყველა დაინტერესებულ სუბიექტს.

უწყებების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის შედეგად, სახალხო დამცველისა და დამსწრე საზოგადოების პოზიციების გათვალისწინებით, კომიტეტი აფასებს პარლამენტის დადგენილებით გაცემული თითოეული დავალების შესრულების მდგომარეობას და შეიმუშავებს შესაბამის დასკვნას, რაც ეგზავნება პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ამ პროცედურებით განხილვის პრაქტიკა დამკვიდრდა 2013 წლიდან (2013 წლამდე საქართველოს პარლამენტი მხოლოდ ცნობად იღებდა სახალხო დამცველის ანგარიშს და არ გაცემულა არცერთი რეკომენდაცია ან დავალება ანგარიშიდან გამომდინარე). ეს პრაქტიკა ყოველწლიურად იხვეწება და ხდება უფრო მეტად ეფექტიანი. ამის დამადასტურებელია ის გარემოებები, რომ ყოველწლიურად იზრდება სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების მაჩვენებელი, იმავდროულად იზრდება უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი.

საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების გაზიარების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:

2013 წელი - 10,8%,

2014 წელი - 13,8%,

2015 წელი - 18,7%,  
2016 წელი - 29,0%,  
2017 წელი - 32,3%,  
2018 წელი - 75,2%.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშით წინადადებები ეძლევა აგრეთვე საქართველოს პარლამენტსაც, რათა განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები ანგარიშში იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. 2018 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შექმნა პირველი პრეცედენტი და ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია შეისწავლოს პარლამენტის მიმართ გაცემული წინადადებების გაზიარების მიზანშეწონილობის საკითხი და დასახოს რელევანტური წინადადებების შესაბამისად განსახორციელებელი ღონისძიებები. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობენ ზემოთ დასახელებულ სუბიექტები.

**შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** აღნიშნავს, რომ ის მჭიდრო თანამშრომლობს სახალხო დამცველის აპარატთან და სახალხო დამცველის აპარატის ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში. ეს თანამშრომლობა გულისხმობს ერთობლივ დისკუსიებს, კონსულტაციებს, წინადადებების/რეკომენდაციების განხილვებს და სტრატეგიის განხორციელების წლიური ანგარიშების პრეზენტაციებს. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თემატურ სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ექსპერტების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების მონაწილეობით.

რაც შეეხება საკითხს "ეთნიკური უმცირესობებზე მიკუთვნებული პირების უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე რეალური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობით", **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** აღნიშნავს, რომ ამჟამად ეთნიკური უმცირესობების 11 წარმომადგენელი შედის საქართველოს პარლამენტში. ეთნიკური უმცირესობები კარგად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ.

ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობა ადგილობრივ დონეზე განხილვებში/დისკუსიებში დამატებით წახალისებულია კონკრეტული ინიციატივებით. 2017 წლიდან ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში (2019 წლიდან) და კახეთის რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში მოქმედებს საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები. კომუნიკაციის/კონსულტაციის ეს ფორმატი გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აქტიურ ჩართვას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ასევე, გათვალისწინებულია საბჭოების დაარსება მუნიციპალურ დონეზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საჯარო ადმინისტრაციაზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, 2017 წლის ზაფხულში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაიწყო სტაჟირების საპილოტე პროგრამა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებისთვის, "1+4" პროგრამის ბენეფიციარებისთვის, რაც ნიშნავდა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების რეკრუტირებას მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით. აქედან გამომდინარე, 65 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელმა სტუდენტმა გაიარა სტაჟირება 20 სახელმწიფო უწყებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში 3 თვის განმავლობაში. 2017 წლის დეკემბერში, სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით ცვლილებები შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში, რომლითაც განისაზღვრა სტაჟირების პროცედურები "1+4" პროგრამის ბენეფიციარებისთვის. ამ გადაწყვეტილების შედეგად, ყოველ წელს, წელიწადში ორჯერ სტაჟირების პროგრამა არის ღია "1+4" პროგრამის სტუდენტებისთვის. საერთო ჯამში, 2019 წლის ივნისის თვემდე ეთნიკური უმცირესობების 269 სტუდენტი იყო ჩართული სტაჟირების პროგრამაში.

#### **პუნქტი 146**

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს მირითადი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას ქვეყნის მასშტაბით და აუცილებლად იმ არეალების უზრუნველყოფას, რომლებიც კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკურ უმცირესობების მიერ. სამინისტროს საქვეუწყებო სააგენტო - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი** განმარტავს, რომ ის აქტიურად მუშაობს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები კომპაქტურად ცხოვრობენ. მარნეულში შეკეთდა 7.6 კმ გზა და მიმდინარეობს 21.7 კმ გზის რეაბილიტაცია. დამატებით დაგეგმილია 37 კმ გზის რეაბილიტაცია / რეკონსტრუქცია. დამატებით დაგეგმილია 4 ხიდის აგება. ახალციხეში, რომელიც ასევე კომპაქტურად არის დასახლებული ეთნიკური უმცირესობების მიერ, მოხდა 7 კმ გზის რეაბილიტაცია. გარდა ამისა, აიგო ხიდი და დაგეგმილია 68 კილომეტრის რეაბილიტაცია. სამინისტროს საქვეუწყებო სააგენტო - **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** აღნიშნავს, რომ მან ქალაქ მარნეულის ტერიტორიაზე მოახდინა მრავალი ადგილის რეკონსტრუქცია. დაიგო საავტომობილო გზები რამდენიმე სოფელის დასაკავშირებლად, კერძოდ, აღმამედლოს, ულაშლოს და კასუმლოს სოფლებისთვის. ჩატარდა სოფელ ამბაროვკას გზის რეაბილიტაცია. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდა შემდეგ სოფლებში: კაჩაგანში, სარალში და ა.შ. ახალი გზები იგება გარდაბანში, მაგალითად, ახალი გზა დააკავშირებს სოფელ საცხენისს და ახალსოფელს; გზები მუდანლოში, კვიშიანში, სართიჭალაში, და ა.შ. რამოდენიმე სარეაბილიტაციო პროექტი მიმდინარეობს ახალციხეში. საავტომობილო გზები იგება ქალაქ ვალეში, სოფლებში აწყური, ტყემლანი, მაჩხეთი, ხეოთი და ა.შ.

სამინისტროს საქვეუწყებო სააგენტო – საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი – აქტიურად მუშაობს გარდაბანში გზების მშენებლობა/რეაბილიტაციაზე. ამჟამად მიმდინარეობს ხიდის მშენებლობა სოფელ ფოლადაანთკარში; მიმდინარეობს გზის დაგების საუშაოები სოფლებში: კუმისი, თელეთი და კრწანისი; გზები სოფლებში ლემშვენიერსა და მუხროვანში ასევე მშენებლობის პროცესშია.

### **პუნქტი 147**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განმარტავს, რომ 2019 წლის 19 თებერვალს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, საქართველოს შემდეგი ორგანული კანონებისა და კანონებისთვის: საქართველოს ორგანული კანონი "საქართველოს შრომის კოდექსი", საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ და საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. სექსუალური ძალადობის / სექსუალური ძალადობა შრომითი ურთიერთობებში განისაზღვრა საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, და ეს ცვლილებები კიდევ ერთხელ კრძალავს დისკრიმინაციას შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში / ხელს უწყობს თანასწორობას. მაგალითად, აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, შრომის კოდექსში განსაზღვრულია, რომ დისკრიმინაცია აკრძალულია წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ დამსაქმებელი ეკრძალება განმცხადებელს მოთხოვოს რელიგიასთან, რწმენასთან, უნარშეზღუდულობასთან, სექსუალური ორიენტაციასთან, ეთნიკურ წარმოშობასთან და ა.შ. დაკავშირებული ინფორმაცია.

### **პუნქტი 157**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აღნიშნავს, რომ ჯერ გადაწყვეტილი არ არის ჩატარდება თუ არა მოსახლეობის მომდევნო საყოველთაო აღწერა 2022 ან 2023 წლებში.

### **დამატებითი რეკომენდაციები**

#### **მეხუთე აბზაცი**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აღნიშნავს, რომ ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ განსაზღვრავს ეთნიკურ უმცირესობათა ენების გამოყენებას საჯარო სფეროში იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ეს უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებული. თუმცა, სახელმწიფო ადმინისტრირების ენა არის ქართული.

#### **მეექვსე აბზაცი**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი აღნიშნავს, რომ ეროვნული უმცირესობების საბჭო წარმოადგენს სახელმწიფოს უწყებათაშორისი კომისიის წევრს, რომელიც შექმნილია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის ეფექტური განხორციელებისთვის. სახელმწიფო მინისტრის აპარატი რეგულარულად წარუდგენს სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის განხორციელების ანგარიშებს ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს. გარდა ამისა, ეროვნულ უმცირესობათა საბჭო უზრუნველყოფს სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგს, ასევე შეიცავს რეკომენდაციებს, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

### **მეშვიდე აბზაცი**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი განმარტავს, რომ საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები ფუნქციონირებს სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციებში ქვემო ქართლში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. კომუნიკაციის/კონსულტაციის ეს ფორმატი გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პროექტების, აქტივობების განხილვაში/დისკუსიებსა და დაგეგმვაში და ზოგადად უზრუნველყოფს მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე. მიმდინარეობს საბჭოების ჩამოყალიბება მუნიციპალურ დონეზე.